

მალეაზ აზლუზელიშვილი

ერთველი საღებ  
ანთროპოლოგიი  
ისცოდნა

26

თბილისი

1979

საოცრად რთული, მრავალმხრივი და არამდგრადი ფენომენია ეთნოსი (ethnos (ბერძნ.) — ხალხი). ის არც მარტო აღამიანების ერთობაა, არც მარტო ენა, კულტურა, ყოფა, ფსიქიკა, ხელოვნება, წარსული, აწმყო და სხვ., არამედ — ყველაფერი ეს, და გარდა ამისა კიდევ მრავალი სხვა, ერთად აღებული. ეთნოსისათვის დამახასიათებელ თითოეულ ნიშანს წარმოშობისა და ფორმირების დამოუკიდებელი გზა აქვს და მხოლოდ მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა ვლინდება ამა თუ იმ ეთნოსის სისით.

ეთნოსი, როგორც გარკვეული ერთეული, წარმოშობა საუკუნეების სილმეში, ყალიბდება და ვითარდება მომდევნო საუკუნეების განმავლობაში, შემდეგ იხრდება, ფართოვდება და ივსება ახალი ელემენტებით, ხოლო ზოგჯერ იშლება, ვიწროვდება და ერწყმის სხვა, მისგან განსხვავებულ ელემენტებს; და არც ის არის გამორიცხული, რომ ეთნოსი მთლიანიდ დაიშალოს და გადაკიდეს სხვა, ადრე არსებულ ან შემდგომ ჩამოყალიბებულ ეთნიკურ გაერთიანებაში, გაითქვიფოს მასში და დაკარგოს საკუთარი სახე; მაგრამ თვით ხალხი, რომელიც ოდესმე შეიკრა გარკვეული ერთეულის სახით, რომელიც წარმოშობითა და ნათესაური კანონებით დაუკავშირდა ერთიმეორებს, მტკიცედ ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ფიზიკურ თავისებურებებს და მემკვიდრეობით გადასცემს მათ თაობიდან თაობას. ასეთია სოციალური და ბიოლოგიური მოვლენების თანაფარდობა იმ უაღრესად რთულ პროცესში, რომელსაც ეთნოგენეზისი, ანუ ხალხის წარმოშობა და ჩამოყალიბება ეწოდება.

ქართული ეთნოსის წარმოშობასა და ჩამოყალიბებას დღემდებული გერმანიშტანგენ. ეტიტკასტატებეს გრატარჩენილი, მატერიალურები და სიგელ-გუარები, ქვები და სამაროვნები, კულტურის ნაშთები და ყოფის თავისებურებები, ენის უტყუარი ნიშნე-

ზი, წარწერები და ჩანახატები, გადმოცემები და ლეგენდები, პოეტური თუ მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები და კიდევ სხვანი მრავალი, რამაც მეტნაცლებად ზუსტი და სრული წარმოდგენა შეგვიქმნა ჩვენი ერას წარმოშობასა და ჩამოყალიბებაზე. მაგრამ თვით ჩვენი წინაპრების, ქართველთა წინაპრების, მათი ძვლოვანი ნაშთებისა თუ დღევანდელი ქართველების ფიზიკური თავისებურებების შესწავლას აქამდე არ უთქვამს თავისი სიტყვა, აქამდე არ უამბნია ჩვენთვის სრულად, თუ ვინა ვართ, რანი ვართ, ვისი ნათესავები, ვისი შთამომავლები, ვისი სისხლი და ხორცი, ვისი კერძი და წილი. ეს სიტყვა მეცნიერების იმ დარღს უნდა ეთქვა, რომელსაც ანთროპოლოგია ეწოდება. შეეძლო კი? როგორ არ შეძლო! მაგრამ... ქართულ ანთროპოლოგიას იმთავითვე არ ეწერა სწორსა და ნათელ გზაზე დგომა და სიარული.

ჯერ იყო და ავსტრიულმა ბუნებისმეტყველმა ფრიდრიხ ბაიერნმა, სამთავროს სამაროვაზე გათხრილი ძვლები რომ ნახა, კაციჭამიერი ყოფილან, ძვლის ტენი ამოუქამიათ ერთი-მეორისათვისო. მერე ცნობილმა რუდოლფ ვიტხოვმა აქვე მოპოვებულ თავის ქალებზე ბრძანა, გრძელთავიანები ყოფილან, ახლა კი ქართველები მოკლეთავიანები არიან, ამიტომ დღევანდელ ქართველებსა და ამ თავის ქალებს ურთიერთშორის საერთო არაფერი აქვთ, ქართველები, აღბათ, გვიან არიან მოსულებით და სხვა. თუ პირველს არ დაუკერძეს, მეორი-სათვის არ შეეძლოთ მაგრამი არ გაეწიათ და ამიტომაც ქართველები თავის სამშობლოში მოსულებად მიიჩნიეს. ბევრი შრომა და ძალა დასჭირდა ამ მცდარი აზრის გაბათილებას. ბოლოს სიმართლე ითქვა, მაგრამ, ბუნებრივია, თვით ან-თროპოლოგიური მეცნიერებისადმი ნდობა შეირყა. მხოლოდ მომდევნო ხანაში გამოჩენილი ქართველი ანთროპოლოგების ალექსანდრე ჯავახიშვილისა და გიორგი ჯავახიშვილის შრომებმა არა მარტო დაუბრუნეს ჩვენში ანთროპოლოგიურ მეცნიერებას მისთვის კუთვნილი ნდობა და პატივისცემა, არამედ ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური კვლევა აიყვანეს მეცნიერების ამ დარგის იმდროინდელი განვითარების უმაღლეს დონეზე.

მაგრამ მაინც ქართველი ხალხის სისტემატური ანთროპოლოგიური შესწავლა დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მორტფოლოგის აკად. ალ. ნათაშვილის სახელტან. პირველი და მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში ისეთი პა-თროპოლოგიური ცენტრი; რომლის კვლევა მთლიანად დაუკვამდი ქართველი ხალხის ეთნოგრანულ შესწავლას.

ეს ანთროპოლოგიური ცენტრი დღესაც ინტენსიურად გა-ნაგრძობს კვლევა-ძიებას და აღბათ არ არსებობს არც ერთი აქტუალური პრობლემა თანამედროვე ანთროპოლოგიაში, რომელის კვლევაში ქართველ ანთროპოლოგებს არ შეჰქმნდებ თავისი წვლილი; მაგრამ ჩვენ ამჟამად მათი კვლევის მხრობი ის მხარე გვინტერესებს, რომელსაც ეთნიკური ან-თროპოლოგია ეწოდება. ცხადია, ამ შემთხვევაში, საქმე პირ-ველ რიგში უხება ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ის-ტორიის საკითხებს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ხალხის წარმოშობა-ჩიმოქალიბების, ანუ ეთნოგრანულისის კვლევა უნდა წარმოებულეს, კომპლექსურად, მეცნიერების მრავალი სხვადასხვა დარგის (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიისა და სხვ.) მონაცემების ერთობლივი გამოყენების გზით, ვინა-იდან, როგორც ვთქვით, თვით ეთნოსია მრავალსახიანი ცე-ნომენი და ამიტომ მისი წარმოშობა-ჩამოყალიბების კვლევა მეცნიერების მხოლოდ რომელიმე ერთი დარგის მონაცემების მიხედვით ცალმხრივი, არასრული და უსათუოდ მანქირა, ამიტომ ჩვენი მიზანი ამჟამად მხოლოდ ერთია: სისტემატუ-რად და ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი სახით გად-შოვცეთ ის ძირითადი ფაქტები, რომლებიც დღემდე დაგრძე-ვა მეცნიერებამ ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ის-ტორიის შესახებ, რათა დაინტერესებულ მკითხველს საშა-ლება მიეცეს დაუპირისპიროს ისინი სხვა მომიჯნავე დისკი-ლინების მონაცემებს და მთლიანი წარმოდგენა შეიქმნას ქარ-თული ეთნოსის გენეზისის შესახებ.

ქვემოთ მოთხრობილია ქართველი ხალხის ანთროპოლო-გიური ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან დღემდე. ცხადია, ყველა საკითხი, მასალების უკმარისობის

გამო, ერთნაირი სისრულით ვერ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ ზოგადი წარმოდგენის შექმნა, ჩვენი აზრით, მაინც ხერხდება.

უძველესი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპების შესახებ, ბრინჯაოს ხანის ეკუთვნის. ჩვენც აქედან დავიწყებთ თხრობას. ცნობილია, რომ ბრინჯაოს ხანი საქართველოში საკმიოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ქრონოლოგიურად ის სამ პერიოდად იყოფა: ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს პერიოდებად; ადრებრინჯაოს ძეგლების აბსოლუტური ხნოვანება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებითა და II ათასწლეულის I ხანებით განისაზღვრება, შუაბრინჯაოს ხანისა — ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებითა და მისი მეორე ნახევრით, გვიანბრინჯაოს — ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითა და I ათასწლეულის პირველი საუკუნეებით.

ისტორიულად და არქეოლოგიურად ბრინჯაოს ხანა საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პერიოდთაგანია და ამიტომ არც გასაკვირია, რომ ანთროპოლოგიურადც ეს პერიოდი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ პერიოდს განეკუთვნება, ცხადყოფს, რომ საქართველო ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა, რომ ბრინჯაოს კულტურა, წინამორბედი — სპილენძის (ენეოლიტური) კულტურის ნიადაგზეა ოღონიურებული და განვითარებული. საბერინეროდ, ამჟამიდ ჩვენ ანთროპოლოგიურადც გვაქვს საშუალება წარმოვადგინოთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა სამივე საფეხურზე და თვალიც გავადევნოთ ფიზიკური ტიპის თავისებურებასა და ცვალებადობას ამ საფეხურზე. ბრინჯაოს ხანის თავის ქალები საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულია: მცხეთის, დიღმის, ალგეთის, კასპის, ახალციხის, ახალქალაქის, თელავის, სიღნაღმისა და თეთრიწყაროს ჩეგინებიდან. მასალა ჯერჯერობით ძალზე რიცხვმცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ინფორმაციის შემცველია.

ამ პერიოდით დათარიღებულ ყველა ანთროპოლოგიურ სერიაში სრულიად თვალნათლივ კლინდება დოლიქორიანუ-

ლი (ვიწრო და გრძელთავიანი), ლეპტოპროზოპული (ვიწრო და მაღალსახიანი), მკვეთრად პროფილირებული, მკვეთრად წარჩინდულ ცხვირიანი, ცხვირის მაღალზურგიანი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელსაც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ეკროპერიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული (მედიტერანული) ტიპი ეწოდება. იგი საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი და უძველესი დროიდან შეინიშნება მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა- და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში და ზოგიერთ სხვა ტერიტორიულ ჯუფებშიც; მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყურადღებას ერთი, სულ სხვა, ჩვენი აზრით მეტად მნიშვნელოვანი გარემოება იმსახურებს; სახელდობრი: ზემოხსენებული პალეოანთროპოლოგიური მასალების სკრუპულობური განხილვა გვაძლევს თითქოს (უფრო ფატეგორიულ მსჯელობას მასალების აბსოლუტური უქმარისობა უშლის ხელს) იმის საშუალებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თვალი გავადევნოთ ამ ტიპის ადგილობრივი ჩანარის სამართლების მიერ და ა. შ.

შემდგომ: პერიოდდებში თანადან კლებულობს თვეის: მა- ჩვენებელი, მატულობს, სახის, სიმაღლე, კლებულობს სიხის სიგანე, მატულობს სახის ჰორიზონტალური პროფილირება, მატულობს ცხვირის უნაგირის, სიმაღლე და მთლიანად ტიპი. ბოლოს და ბოლოს ყალიბდება ხმელთაშუაზღვისპირული ტი- პის: კლასიკური ფორმებს სახით. ეს პროცესი, ჩვენს მცირებულების მასალებზე ჯერჯერობით შეუიარებელი. თვალით არ ჩანს. თანაც ტრანსფორმაციის (გაზღაქშნის) მიმართულების მათებატიკურ სიზუსტეს ხშირად არღვევს მასალების მცირე რიცხვით გამოწვეული ინდივიდუალური გადახრები, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოვლილ უდიდესი ღირებულების მჭონე ნიშნებში დადასტურებული ტრანსფორმაციის მი-

მართულება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს, მით უმეტეს, რომ ის ვლინდება არა რომელიმე ერთ შედარებით ნაჯლები მნიშვნელობის მქონე ნიშანში, არამედ უმნიშვნელოვანების ნიშენების მთელ კომპლექსში.

თუ პალეოანთროპოლოგიური კომპლექსის ჩვენს მიერ შენიშნული ეპოქალური ტრანსფორმაციის ეს მიმართულება მომავალში უფრო მდიდარი მასალებით დადასტურდება, შეგვეძლება ვამტკიცოთ არა მარტო საქართველოს აბორივენული მოსახლეობის ძირძველი ავტოქტონურობა, არამედ ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია იმთავითვე შედიოდა ხმელთაშუაზღვისპირული რასის წარმოშობისა და ჩამოყალიბების არეალში. ეს დასკვნა კი მეტად შორს მიმავალ პერსპექტივებს სახას არა მარტო ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპების ეთნოგრაფიისის, არამედ სამხრეთ-ევროპეონიდული და საერთოდ ევროპეონიდული რასის ჩასოგნეზის კვლევის საქმეშიც.

ასეთია ზოგადად ის მასალები და მოსაზრებები, რომლებიც შეეხებიან საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიას, მაგრამ ანთროპოლოგიური მასალების სწორი გაზრდება მთთ გარემომცველი ანთროპოლოგიური მონაცემების გარეშე არამცთუ ძნელია, არამედ შეუძლებელიც არის, თუნდაც მხოლოდ იმ ცნობილი ჭეშმარიტების გამო, რომ რასობრივი ტიპების გავრცელება არასოდეს არ ემოხვევა და, მიზეზობრივი კავშირის უქონლობის გამო, არც უნდა ემთხვეოდეს ისტორიული კატეგორიების (კულტურის, ეთნიკური ჯგუფის, ტომის, ერის, სახელმწიფოსა და სხვა) ტერიტორიულ საზღვრებს; ამიტომ, ცხადია, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თუ რა ხდებოდა საკვლევ პერიოდში ისტორიული საქართველოს საზღვრებს მიღმა, უპირველეს ყოვლისა, მის უახლოეს მეზობლებში; როგორიც იყო მათი ანთროპოლოგიური თავისებურებანი და რა ურთიერთობას ამჟღავნებდნენ ისინი საქართველოში დადასტურებულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან. ამ საკითხებს ჩვენ, ცალკეული რეგიონების მიხედვით ქვემოთ შევხებთ.

სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალების შესწავლამ უშუალოდ

მიგვიყვანა ჩვენთვის უმნიშვნელოვანების ამოცანის გადაწყვეტამდე, სახელდობრის საქართველოსა და სომხეთის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიური მსგავსება-განსხვავების უშუალო შეფასებამდე. მსგავსება ამ შემთხვევაში ზრულიად უდავოა და იმდენად თვალსაჩინო, რომ იძლევა არა მარტო მორფოლოგიური სიახლოების, არამედ ანთროპოლოგიური იდენტურ რობის შესახებ მსგელობის უფლებას. სომხეთისა და საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის „პალეოანთროპოლოგიურ სერიებს შორის არ არსებობს არც ერთი ტაქსონომიური ღირებულების მქონე ნიშანი, რომელიც მათ შორის თუნდაც ტიპოლოგიური ვარიანტის დაშვების უფლებას გვაძლევდეს. ყოველივე ეს იძლევა გარევეულ სტრუქტურულ-ანთროპოლოგიური მნიშვნელობის მქონე დასკვნის გამორტანის საფუძველს: საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში ეკუთხნდა ერთი და იგივე სამხრეთ-ევროპეონიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს და ხასიათდებოდა იდენტურობის მისული ანთროპოლოგიური ნიშნების უახლოესი მსგავსებით. ეს კი თავის მხრივ იძლევა იმის უფლებას, რომ გამოვიტონოთ მეორე ზოგდი ხასიათის დასკვნა: ბრინჯაოს ხანაში ჭერ კიდევ არ იყო დაწყებული ამ ორი რეგიონის მოსახლეობაში ანთროპოლოგიური ტიპების დიფერენციაციის პროცესი; რომ მსგავსება ამ შემთხვევაში პირველადია და ძირითადი, ხოლო განსხვავება — მეორადი.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალა კერძერობით ძალიან მცირერიცხოვანია და მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა უენიშნოთ, რომ ბრინჯაოს ხანის მიწურულს, დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზედაც ძირითადად გავრცელებული იყო სამხრეთ-ევროპეონიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, რომელიც მოსახლეობის ძირითად მასივს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში.

ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან მოპოვებული ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები ყველა ნიშნის მიხედვით ამჟღავნებენ ჩვენთვის უკავე კარგად

ცნობილ ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ყველა თავისებურებას. მართალია, პალაონთოროპოლოგიური მასალები ჩრდილოეთ კავკასიიდან ძალზე მცირეა და ახალმა მასალებმა სხვა ჩეგიონებიდან შეიძლება მოგვცეს განსხვავებულ ტიპზე მსჯელობის საფუძველი, მაგრამ ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული მონაცემები სრულ საფუძველს გვაძლევს გამტკიცოთ, რომ ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში ეკუთვნოდა იმავე სამხრეთ-ევროპეოიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს, რომელსაც, საღლეისოდ არსებული ყველა მასალის მიხედვით, ეკუთვნოდა ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის ძირითადი მოსახლეობა.

ამრიგად, კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის საღლეისოდ ჩვენს განკარგულებაში არსებული პალეოანთროპოლოგური მასალების მიმოხილვას გარკვევით მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ მთელი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში სამხრეთ-ევროპეოიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი.

ბრინჯაოს წარმოქებას მომდევნო პერიოდში ცვლის ოკნის მეტალურგია, რომელსაც თან სდევს საცხენოსნო საქმის დაწინაურება. არქეოლოგები კავკასიის ტერიტორიაზე გვიან ბრინჯაოს და ადრერკინის ხანის ოთხ უმთავრეს კულტურას გამოჰყოფენ: ერთს, ძირითადად, უკავია დასავლეთი ამიერკავკასია და ჩრდილო კავკასიის მთიანეთი მდ. თერგის დასავლეთით, მეორეს — ყუბანის აუზი, მესამეს — ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია, მეოთხეს — ცენტრალური და აღმოსავლეთი ამიერკავკასია. საქართველოს ტერიტორიაზე პალეოანთროპოლოგიური მასალები ამ პერიოდისათვის მოპოვებულია მცხეთის, ლიღვის, დვანისა და ბებნისის მიდამოებში. მასალა ხასიათდება შინაგანი მსგავსობრით და ბრავიტან განსხვავებულ ელემენტებზე მსჯელობის საფუძველს არ ძალება. ამ პერიოდის მოსახლეობისათვის, როგორც ჩანს, განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ძალზე დაბალი თავის მაჩვენებელი, მაღალი ჭალასარქველი, ფართო და სწორი უბლი; საშუალო სიმრდლის; გამტკიცებული და პორიტიკული სი-

ბრტყები მკვეთრად პროფილირებული სახე, საშუალო სიმაღლის ვიწრო და მკვეთრად წინ წამოწეული ცხვირი და სხვ. ეს განზოგადებული დახასიათება გვაძლევს საშუალებას დაცუპირისპირობით რენის თვისების პერიოდის მოსახლეობა მთლიანად მის წინამორბედ მოსახლეობას ამავე ტერიტორიაზე (მხედველობაში გვაქვს საქართველოს მოსახლეობა გვიან ანბრინჯაოს პერიოდში); როგორც ჩანს, საქართველოს გვიან ბრინჯაოსა და რენის წარმოების ფართო თვისების პერიოდში მოსახლეობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ტიპოლოგიურად არ განსხვავდებოდა გრძელი ართობისაგან, რაც გამორიცხავს რაიმე ახალი, აღვილობრივისაგან განსხვავებული ელემენტების შემოსვლას საკვლევ ტერიტორიაზე დროის აღნიშნულ მონაცემში.

სომხეთის ტერიტორია ამ პერიოდისათვის წარმოდგენილია კრანიოლოგიური სერიებით, რომლებიც ძირითადად სევინის ტბის ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიღამოებშია მოპოვებული. ამ მასალების შესწავლა რამდენიმე საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მათი ტიპოლოგიური მსგავსება საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ სინქრონულ მასალებთან: ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დოლიქორანულ, ლეპტოპროზოპულ, მკვეთრად პროფილირებულ, მკვეთრად წინ წარზიდული ცხვირის მქონე ანთროპოლოგიურ ტიპთან. ანთროპოლოგიური ლიტერატურაში ასეთი ტიპები, როგორც ვთქვით, სამხრეთ-ევროპეოიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არიან ცნობილი.

ამ პერიოდის პალეოანთროპოლოგიური მასალები აზერბაიჯანის ტერიტორიიდან მოპოვებულია მინგეჩაურის რეგიონში; მათი შესწავლა ბევრ საკითხს აყენებს მკვლევრის წინაშე. უდავო აქ მხოლოდ ტიპოლოგიური ერთიანობაა, საღვო და შემდგომი მასალებით შესამოწმებელი კი — რეგიონური ნაირსახეობები.

ჩრდილოეთ კავკასიაში ამ პერიოდის პალეოანთროპოლოგიური სერიები მოპოვებულია ყობანის მიდამოებსა და

ჩრდილო ოსეთის სოფ. რუთხაში. კავკასიონის მთის ზოლში მოპოვებული მასალები აბსოლუტურ ტიპოლოგიურ მს გავს გა გა გა გა ას ამჟღავნებენ მათს თანადროულ მიერკავკასიის ბარის პალეოანთროპოლოგიურ ტიპებთან, ამიტომ, უკვე ახლა შეგვიძლია დავსვათ საკითხი ჩვენს მიერ ამიერკავკასიაში რკინის წარმოების ხანაში გამოყოფილი სამხრეთევროპერიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის არეალის გაფართოების შესახებ. საამისოდ ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე უსტი საყრდენი პუნქტი: საქართველოში: მცხეთა — თბილისი (დვანი, ბებნის?), სომხეთში — სევნი, ბათუმით, ნორაჭ ტუხი და აკუნკი, აზერბაიჯანში — მინგეჩაური, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში — ყობანი და ზემო რუთხა. აი, ამ საყმაოდ დიდ არეალზე რკინის წარმოების ხანაში მოსახლეობდნენ ერთმნიერისაგან ნაკლებად დიფერენცირებული ანთროპოლოგიური ტიპები, რომელებისთვისაც დამახასიათებელი იყო; ქალას მკვეთრი დოლიქოკრანულობა, სახის ვიწრო და მკვეთრი პროფილის ფორმები და სხვა. ჩვენი აზრით, ა. ამ, უამად არ არსებობს არაფიტარი საფუძველი, რომ, ეს მსგავსება შეცნევითად მივიჩნიოთ. სხვაგვარი სურათი: გვაქვს ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობ რაიონებში: რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში ამ ტერიტორიის მოსახლეობა, კავკასიის დანარჩენი მოსახლეობისაგნ განსხვავდებით, ხასიათდება: ქალას მეზოკრანული ფორმით, საშუალო სიგანძის ზორ მიერად პროფილირებული სახით, საშუალო სიგანძის, მკვეთრად. წინ წარზიდული ცხვირითა და საშუალო სიმაღლისა, და ვიწრო თვალბუდეებით. ეს ტიპი, როგორც სხვა ჩვენს მიერ აღწერილი კრანიოლოგიური ტიპები, ევროპეოიდული რესუს სამხრეთ-ევროპეოიდულ ნაირსახეობას განეკუთნება, მაგრამ ტიპოლოგიურად აშეარად განსხვავდება მათგან.

ადრე ან ტიკური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები მოპოვებულია მცხეთის, გომარეთის, აბელის, აზმაზისხევის, ახალქალაქისა და ქსნის მიდამოებში. ამ მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ერთადერთ ტიპს, რომელიც ქაზართველოს ანუ, უფრო ზუსტად, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დომინირებდა ადრეანტიკურ ხანაში, ახასიათებდა შემდეგი თავისებურებები: მკვეთრად

დოლიქოკრანული თავის ქალა, ზომიერად მოდრეკილი, ფართო და სწორი შუბლი, საშუალო სიმაღლისა და სიგანძის, მკვეთრად პროფილირებული და ვერტიკალურ პროექციაში სწორი სახე, საშუალო სიმაღლის, საშუალო სიგანძის, ან ღდნავ ვიწრო, მკვეთრად გამოხატული ცხვირი და სხვ. ეს არის ნიშნების ის კომპლექსი, რომელიც დადასტურდა საქართველოს ბრინჯაოსა და რკინის ხანის მოსახლეობაშიც.

ადრეანტიკურ ხანაში, ისევე როგორც ბრინჯაოს და რკინის ხანაში, ჩვენთვის მხოლოდ ეს ერთი ტიპია ცნობილი; როგორც ვთქვით, ეს ტიპი ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი; იგი საერთოდ, საქაოდ ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთაც იქნება საუბარი. ამჟამად კი ანთროპოლოგიური ტიპის ასეთი ქრონოლოგიური სტაბილურობა და მორფოლოგიური პომოგენურობა სრულ საფუძველს გაძლიერებს ვამტკიცოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანიდან ადრეანტიკური ხანის ჩათვლით მოსახლეობის გენეტიკურ სტრუქტურაში საგრძნობი ცვლილება არ მომხდარა, ადგილი არ ჰქონია ერთმანეთისაგან გენეტიკურად განსხვავებული ტიპების თანაცხოვრებას და რომ ანთროპოლოგიური ტიპების დინამიკა ატარებდა მხოლოდ შინაგანი განვითარებისა ან სტაბილიზაციის ხასიათს. ამ ფაქტს საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ამიერკავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე ადრეანტიკურ ხანაში წარმოდგენას გვიქმნიან მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ აზერბაიჯანის რეგიონები. ამიერკავკასიის დანარჩენ მოსახლეობაზე ჩვენ მხოლოდ ამ რეგიონებიდან მოპოვებული მასალების ექსტრაპოლაციით შეიძლება შევიქმნათ მიახლოებითი წარმოდგენა. ცხადია, წინამორბედი და მომდევნო ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალების შესწავლა ამიერკავკასიის სხვა რეგიონებიდან (განსაკუთრებით ეს შეეხება სომხეთის ტერიტორიაზე) გვაძლევს შესაძლებლობას საგარაუდო წარმოდგენა შევიქმნათ ამიერკავკასიის მოსახლეობის ძირითად ანთროპოლოგიურ ტიპზე ადრეანტიკურ ხანაში, მაგრამ ეს ჯერ

ჯერობით მაინც თეორიული განსხის საგანია და არა შეცნერული ფაქტებით დადასტურებული უტყუარი სურათი.

ის მასალები, რომლებსაც შეუძლიათ შევიქმნან წარმოდგენა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე ძვ. წ. I ათასწლეულში, გარდა იმისა, რომ მცირერიცხვანი არიან, საქმიანდ დიდ ტერიტორიაზე არიან გაფანტულნი. მიტომ კიდევ უფრო ძნელდება მთლიანი წარმოდგენის შექმნა ჩვენთვის საინტერესო საგანზე. ჩვენს განკარგულებაშია სერები: ხორობოა, ყუბანის, ზემო რუთხას, მოზღვის, უსტ-ლაბინსკაიას და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა დაბლობ რაიონებში მოპოვებული თავის ქალები. უსტ-ლაბინსკაიადან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა დაბლობი რაიონებიდან მოპოვებული თავის ქალები, განსხვავებით დანარჩენ პუნქტებში მოპოვებულ თავის ქალებისაგან (რომლებიც, ამიერკავკასიური თავის ქალების მსგავსად, ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის მქონენ არიან), ხასკოვებან: ქალის საშუალო გრძივი და საშუალო განივი ღიამეტრიათ (რის გამო ქალის მაჩვენებელი თოთქმის ბრაქიფეფალურია — ფართო და განიერი თავი), ქალისარქელის საშუალო სიმაღლით, საშუალოზე ფართო, სწორი სახით, საშუალო სიგანისა და სიმაღლის ცხვირით, ცხვირის ზურგის მკვეთრი გამოხატულებით, საშუალოზე მაღალი ცხვირის უნაგირით, დაბალი თვალბუდებითა და სხვა.

როგორც რეინის წარმოების ფართო ათვისების ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალების მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილო კავკასიის დაბლობის რაიონებში გავრცელებული ყოფილა მთისა და მთის წინა ზოლის მოსახლეობისაგან განსხვავებული განვითარებული პაროპოლოგიური ტიპი. მა ტიპს ჭრაჯერობით შევიძლია. მივაკუთხოვთ აგრეთვე მოზღვის მიღამოებში მოპოვებული მაგავი პერიოდის რამდენიმე თავის ქალა. ამრიგად, ჩვენს მიერ ჩრდილო კავკასიაში მიმოხილული პალეოანთროპოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ ვიმსჯელოთ. ჩრდილო კავკასიაში აღრენტიკური ხანისათვის ორი, მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპის თანაარსებობის შესახებ: ერთი გავრცელებული

იყო ჩრდილო კავკასიის დაბლობ რაიონებში და ხასიათდებოდა თავის მეზობრავირანული ფორმებით და სახის საკმარიდ დიდი სიგანით.

მა ტიპის ანალოგიური ფორმები გვხვდება უფრო ჩრდილოეთთაც; მაგალითად, ძვ. წ. I ათასწლეულში შუა ხანების ასტრახანის მიდამოების სარმატებს ზორის; მეორე გავრცელებული იყო მთისა და მთისწინა ზონაში და ხასიათდებოდა პირველისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ნიშნებით, სახელდობრ: ქალის მკვეთრად დოლიქოფრანული ფორმებით, ფართო და სწორი შუალით, საშუალო სიმაღლისა და საშუალო ან საშუალოზე ვიწრო, მკვეთრად პროფილირებული სახით, მკვეთრად გამოხატული ცხვირითა და მაღალი ცხვირის უნაგირით. მა ტიპის ანალოგიური ფორმები უპირველეს ყოვლისა ამიერკავკასიაშია წარმოდგენილი და ჯერჯერობით ჩვენს ხელო არსებული აღრენტიკური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალების მიხედვით მოიცავს ცნობრალური ამიერკავკასიის გარკვეულ რეგიონს.

აღრენტიკური პალეოანთროპოლოგიური მასალების მიმოხილვა, ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად საშუალებას იძლევა პასუხი გავცევ კიდევ ერთ კითხვას, სახელდობრ: ქართველთა წინაპრების მოსული თუ ადგილობრივი წარმავლების შესახებ. სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ ამ პერიოდის თავის ქალები ანთროპოლოგიურად არ განსხვავდებიან წინამორბედი ხანის თავის ქალებისაგან; უფრო მეტიც, განსხვავება არ შეინიშნება არც ერთი თავის ქალის არც ერთ ნიშანში. მსგავსება ამ შემთხვევაში იმდენად დიდია, რომ საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ არა მარტო მათი მორფოლოგიური იდენტურობა, არამედ გენეტიკური ერთობა. ცხადია, ეს გენეტიკური ერთობა უტყუარი მაჩვენებელია საქართველოს აღრენტიკური ხანის მოსახლეობის ადგილობრივი წარმავლებისა. ანალოგიურ დახვნამდე მიგვიყვანა წინამორბედი პერიოდების პალეოანთროპოლოგიური მასალების შესწავლამაც. თავის მხრივ, აღრენტიკური ხანის თავის ქალების მორფოლოგიური პორტფოლიო გამორჩეს ცხნიკურს არა, ყოველ შემთხვევაში გენეტიკურ „სიჭრელეს“. მნელი წარმოსადგენია, რომ ისეთ

მიქრობაინგზი, როგორც არის მცენტის, კასპის, ღმანისის, თეთრი წყაროს, ქსნისა და მინგეჩაურის მიდამოებით მოსაზღვრული რეგიონი, ეცხოვრათ გენეტიკურად ერთმანეთი-საგან განსხვავებულ ელემენტებს და ჩვენ მოელი ამ მიღა-მოებიდან მოპოვებულ არც ერთ თავის ქალაზე არ შეგვენი-შნა, თუ კომპლექსი არა, ტიპოლოგიურად განსხვავებული ერთი ნიშანი მაინც.

ე ლ ი ნ ი ს ტ უ რ ი ხანის მასალები საქართველოდან ჯერ-  
ჯერობით მხოლოდ სამთავროს სამართლების მოპოვებული.  
ამ თავის ქალებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია:  
ქალას მკვეთრად დოლიქოკრანული ფორმა, ზომიერი სიმაღ-  
ლის ქალასარქველი, გრძელი გასწვრივი და მცირე განივი  
რკალები, ზომიერი სიგანის დაქანებული შუბლი, კეფის  
სწორი, ზედა ნაწილი, ვიწრო ყურადშუა სიგანე, საშუალო  
სიგანისა და სიმაღლის სახე, მკვეთრად გამოხატული ცხვირის  
მაღალი უნაგირი, საშუალო სიგრძისა და სიგანის კბილბუდე-  
ები და სხვ.

ასეთივე ანთროპოლოგიური ტიპები ჩვენს მიერ შენიშვნულია რენის წარმოების ფართო თვისების და მის მომღევნო, აღრეანტიკურ ხანაშიც. როგორც ჩანს, ანთროპოლოგიური მსგავსობით დაკავშირებულ ამ ქრონოლოგიურ სერიებში საქმე ძირითადად ერთ ტიპთან უნდა გვქონდეს, მაგრამ ელინისტური ხანის თავის ქალებზე რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანიც გვხვდება, რომლებიც ამ სერიის თავისებურებებს წარმოადგენენ. ეს არის შედარებით მცირე განივი რკალი, შედარებით ვიწრო და დაქანებული შუბლი, ოდნავ ფართო და ოდნავ უფრო დაქანებული სახე, შედარებით მოკლე კბილბუდის რკალი და სასა. ეს ამ სერიის თავისებურებათა მაჩვენებელი ნიშნებია. ისინი არავითარ შემთხვევაში არ იძლევათ საფუძველს ტიპოლოგიურ განსხვავებაზე მსჯელობისათვის, მაგრამ სხვა სერიებთან დაპირისპირებისას მათი მხედველობაში მიღება, თუ აუცილებელი არა, ყოველ შემთხვევაში, სასურველი მანც არის. მაგრამად კი ჩვენ თავს უფლებას გაძლევთ განზოგადებული დასკვნის სახით წარმოვადგინოთ დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში, ელინის-

Ծյուր եանաშո՛ մոսակլցոնծի ցընեցիոյշի Շյըցընոլոնծա առ  
Շյըցըլունա, հռմ ուս անթըռոպոլոցոյշիրագ ցընտցնուս օմազը<sup>2</sup>  
հասոնծիրաց կաթըցոնրաս, հռմելսապ ցընտցնուդա մուսօ Քինա-  
մոնիքցու եանուս մոսակլցոնծա ամազը Ծյըռութոնրաչեց.

ამიერკავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე მოპოვებული პალეონთოლოგიური მასალების მიმოხილვა, ისევე როგორც წინამორბედ ხანაში, სამწუხაროდ, განისაზღვრება მხოლოდ ერთი რეგიონით: ეს არის მინგეჩაურის სამაროვანი, სადაც აღმოჩენილია ამ პერიოდის 10 მამაკაცისა და 3 დედაკაცის თავის ქალა. საერთოდ ამ თავის ქალების მიმართ სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ზუსტად იმეორებენ ნიშნების იმ კომპლექსს, რომელიც მინგეჩაურის წინამორბედი პერიოდის სერიაზე იყო ჩვენს მიერ აღწერილი. ამ სიზუსტეზე მსჯელობის საფუძველს გვაძლევს მამაკაცების სერიაში ცხვირის ზომიერი გამოხატულება; მთლიანად კი ქალის დოლიქოკრანული ფორმა, ვიწრო სახე და ლეპტორინული ცხვირი საფუძველს იძლევა შევიყვანოთ ის ხმელთაშუაზღვისპირული რასის იმ ადგილობრივი ნაირსახეობების ფარგლებში, რომელშიაც ექცევიან ამიერკავკასიის იმავლრინდელი და წინამორბედი ხანის კრანიოლოგიური ტიპები. ამრიგად, იკვრება მსგავსების რგოლი არა მატეო სივრცეში, არამედ დროშიაც. მსგავსების ეს რგოლი სივრცეში მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, ხოლო ექსტრაპოლაციის გზით — ცენტრალური ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური მთისა და მთისწინა ზოლის მოსახლეობას. დროში მსგავსების წრე იკვრება მინგეჩაურის წინამორბედი ხანის პალეოანთროპოლოგიურ სერიებთან. ამრიგად, როგორც ჩანს, მინგეჩაურის ელინისტური ხანის კრანიოლოგიურ მასალებში წარმოდგენილი პალეოანთროპოლოგიური ტიპი შედის მიმდებარე ტერიტორიებისა და თანადროული და წინამორბედი ხანის ანთროპოლოგიური ტიპების ვარიაციების ფარგლებში, რაც თავის მხრივ საკვლევი რეგიონის მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური მონაცესავების. მაჩვენებელი უნდა იყოს.

.. ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობი რაიონებიდან ამ პერი-  
ოდის ორი თავის ქალა (უსტ-ლაბინსკაია და მოზღოვი) საფუ-  
2. მ. აბდუშელიშვილი 17

ძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადრეანტიკურ ხანაში ჩრდილო კავკაციას დაბლობ რაიონებში გავრცელებული, ქავების დანატენი რეგიონების მოსახლეობისაგან განსხვავებული ან-თროპოლოგური ტიპი შემონახულია იმავე პუნქტებში ელინისტურ ხანაშიაც. თუ რა ბედი ეწია ჩრდილო კავკაციის მთისა და მთისწინა ზოლის მოსახლეობას ელინისტურ ხანაში, ჩვენ ამის შესახებ ჯერჯერობით, მასალების უქონლობის გამო, გადამწყვეტს ვერაფერს ვამბობთ. აღწერილი ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელების არეალი სხვადასხვა მიმართულებით მიღის: საქართველოს, ამიერკავკასიასა და ცენტრალური ჩრდილო კავკაციის მთისა და მთისწინა ზოლში გავრცელებული პალეოანთროპოლოგიური ტიპების პარალელები სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებითაა საძიებელი, ხოლო ჩრდილო კავკაციის დაბლობ რაიონებში აღრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში გავრცელებული ან-თროპოლოგიური ტიპების პარალელები — ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი შიმართულებით. ეს ჯერჯერობით მეტად სქემატური და ზოგადი დასკვნაა, მაგრამ ბოლო ხანებში წარმოებული პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევები, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სურათი ახლო მომავალში უფრო დაიხვეწება დაზუსტდება.

ელინისტური ხანით სრულდება იმ მოვლენათა გრძელი ჯაჭვი, რომელთაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდათ ოდგილი. მისნა აბსოლუტურად პირობითია, მაგრამ ორიენტაციის გადაფილების მიზნით, ჩვენ მაინც გვინდა თვალი გავადევნოთ ანთროპოლოგიურ მასალებს მთლიანად უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ერთი, დოლიქოკრანული, ვიწროსახიანი, მკვეთრად პროფილირებული, ლეპტორინული, მკვეთრად გამოხატული ცხვირის მქონე და ცხვირის მაღალუნაგირიანი ანთროპოლოგიური ტიპი; ამ ტიპის ცვლა დროში შინაგანი ტრანსფორმაციის სახეს ატარებს. ეს ტრანსფორმაცია შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს, სახელდობრ: ქალის მაჩვენებლის მომატებას, შუბლის უდიდესი სიგანის შემცირებას, სახის სიგანის მომა-

ტებას და სხვ. მაგრამ რამდენად კანონზომიერია ეპიქალური  
ტრანსფორმაციის ეს სურათი, ამას მასალების მომავალი და-  
გროვება დავვანახებს. ჩვენ უკვე ოვნიშნეთ, რომ ელინის-  
ტურ ხანაში საქართველოს მოსახლეობა ძირითადად იმეო-  
რებს წინამორბედი ხანის ანთროპოლოგიურ ტიპს; იქვე შევ-  
ნიშნეთ ამ სერიის ზოგიერთი თავისებურებაც, მაგრამ ახლა,  
როდესაც თვალი გავაღევნეთ მთლიანად ქრისტიანულად  
თანამიმდევარი სერიების მორფოლოგიურ თავისებურებებს,  
უფრო მევეთრად იჩინა თავი განმასხვავებელმა ნიშნებმა. კი-  
დევ ერთხელ გვიხსენოთ ისინი: თავის მაჩვენებელმა ღონავ  
მოიმატა, შემცირდა შუბლის უმცირესი სიგანე, ოდნავ მოი-  
მატა შუბლის სიგრძე; განსაკუთრებით საგრძნობი გახდა  
განსხვავება შუბლის პროფილში, რომელიც წინამორბედი  
ხანის სწორფორმებთან შედარებით ოდნავ დაქანებული გახ-  
და; საყურადღებო აგრეთვე სახის სიგანის ოდნავი, მაგრამ  
მაინც გარევეული მატება; ოდნავი, მაგრამ მაინც გარევეული  
შესუსტება სახის შუა პორიზონტალური პროფილირებისა;  
გარდა ამისა, სახის ვერტიკალური პროფილიც უფრო ნაჯ-  
ლებ სწორია და ბოლოს უფრო მოკლეა კბილბულის რეალი-  
სა და სასის სიგრძე. განსხვავებანი აბსოლუტურად ძალზე  
მცირება და არაეთიარ შემთხვევაში ტიპოლოგიურ განსხვავე-  
ბაზე მსჯელობის საფუძველს არ გვაძლევენ, მაგრამ მათი  
აღნიშვნა იმდენად ძრის აუცილებელი, რამდენადც მომდევ-  
ნო ხანაში ამავე ნიშნებში შემჩნეული განსხვავებანი, თუ ამა-  
ვე მიმართულებით წავიდნენ, შეიძლება ინთროპოლოგიური  
ტიპის ეპოქალურ ტრანსფორმაციაზე მსჯელობის საგნად იქ-  
ცნენ. თუ რამდენად გამტოლებულია ჩვენი ეს გარეული,  
ამას მომდევნო ხანის პალეოანთროპოლოგიური სერიების  
ანალიზი დავვანახებს.

...გვინდან ტიკური ხანის პალეოანთროპოლოგიური  
მასალები აღმოსავლეთ, საქართველოს უფრო დიდ ტეგიონს  
მოიცავენ, ვიდრე წინამორბედი ხანის მასალები. როგორც ამ  
მასალების შესწავლიდან იწყება, აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს მოსახლეობა ხსიათდება: საშუალო სიმაღლის მცხვე-  
რად დოლიფურანული ფორმის ჭალასარქველით, ზომიერი  
სიგანძის, ზომიერად დახრილი შუბლით; საშუალოზე დაბალი.

ვიწრო, ძალზე მკვეთრად პროფილირებული და სწორი სა-  
ხით, საშუალო სიმაღლის; ვიწრო და ძალზე მკვეთრად წარ-  
ზიდული ცხვირით, საშუალოზე მაღალი ცხვირის უნაგირით  
და საშუალოზე დაბალი და საშუალოზე ვიწრო თვალბუდე-  
ებით. თუ აღრე ჩვენ მხოლოდ სამთავროს სამაროვანზე მო-  
პოვებული მასალებით ვიცნობდით ამ ტიპის ზოგად თავისე-  
ბურებებს, დღეს უკვე თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ  
ეს ერთიანი, სრულიად ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიური  
ტიპი მოიცავს მცხეთა-სამთავროს, ურბნისის, ნიჩბისის, თე-  
თრი წყაროს, თელავისა და უინვალის რეგიონებს.

არავითარ სხვა ტიპს, გარდა აღნიშნულისა, არ ვხვდებით  
ამ საქმაოდ დიდ ტერიტორიაზე მთელი გვიანანტიკური პერი-  
ოდის განმავლობაში; ეს კი თავის მხრივ საფუძველს გვაძ-  
ლებს ვივარაუდოთ, რომ მთელი იმდროინდელი აღმოსავლეთ  
საქართველო დასახლებული იყო ერთიანი გენეტიკური  
წარმომავლობის მქონე ანთროპოლოგიური ტიპით, რომე-  
ლიც უშუალო გენეტიკური მექანიზრებით იყო დაკავშირე-  
ბული ამავე რეგიონის წინამორბედი ხანის მოსახლეობასთან.  
ამ დასკვნას კიდევ უფრო საბუთიერს ხდის გვიანანტიკური ხა-  
ნის მასალების დაპირისპირება ელინისტური და ადრეანტი-  
კური ხანის მასალებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ასეთსავე  
გენოტიპურ მონათესავეობას ამჟღავნებენ წინამორბედი —  
რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანის მოსახლეობასთან.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება არც ერთი  
თავის ქალა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან და  
ამიტომ ღიად რჩება საკითხების მთელი რიგი; კოლხეთის მოუ-  
სახლეობის გენეტიკური დამოკიდებულების შესახებ იძერისი  
მოსახლეობასთან და საერთოდ ყველა ის საკითხი, რომლებიც  
შეეხება დასავლეთ საქართველოში გვიანანტიკურ ხანაში მო-  
მხდარ ეთნიკურ ძვრებს. იძერისი მოსახლეობა, როგორც  
ჩანს, არ იყო გენეტიკურად გამიჯნული იმდროინდელი გა-  
რემონტებით სამყაროსაგან: კრანიოლოგიური მასალები სომ-  
ხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან ცხადყოფენ, რომ  
მთელი ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ერთიანი ან-  
მორფოლოგიურად ძალზე ახლო მდგომი ანთროპოლოგიური  
ტიპებით. ეს კი მაჩვენებელი უნდა იყოს სომხეთის, იძერი-

სა და ალბანეთის გვიანანტიკური ხანის მოსახლეობის წარმო-  
მავლობითი მონათესავეობისა. შემდგომ პერიოდებში შეიძ-  
ლებოდა მრავალი რამ შეცვლილიყო; ცალკეულად ყველა  
ამ რეგიონს შეეძლო განეცადა ერთმანეთისაგან განსხვავე-  
ბული ეთნიკური ელემენტების ზეგავლენა, ინფილტრაცია და  
დაფუნდებაც კი, მაგრამ ხაზს უსვამთ: გვიანანტიკურ ხანაში  
სომხეთის, იძერისისა და ალბანეთის მოსახლეობა ანთროპო-  
ლოგიურად უახლოესი მსგავსებით ხსიათდება, რაც საფუძ-  
ველს იძლევა ვითიქროთ მათი ერთიანი გენეტიკური წარმო-  
მავლობის შესახებ.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან ურთიერთობის  
შესახებ არსებული გვიანანტიკური ხანის მასალები საფუძ-  
ველს გვაძლევენ ვიმსჯელოთ მათს მორფოლოგიურ დაფუ-  
რენციირებულობაზე; ყოველ შემთხვევაში, ჩრდილო კავკასიის  
ბარის მოსახლეობა, რომელიც თავის მხრივ გარევეოთ  
ამჟღავნებს ამავე ტერიტორიის წინამორბედი ხანის მოსახ-  
ლეობასთან მემკვიდრეობითი კავშირის ნიშნებს, სრული-  
ად განსხვა ბულ ანთროპოლოგიურ ტიპს ეკუთვნის,  
ვიდრე ამიერკავკასიის მოსახლეობა. საყურადღებოა ის გა-  
რემონტება, რომ დალესტანში ამ დროისათვის ამიერკავკასიის  
მოსახლეობის მსგავსი ფორმებია გავრცელებული და მხო-  
ლოდ შეინიშნება ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მოსახლეობი-  
სათვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშნების შეღ-  
წევსა თუ ზეგავლენის სუსტი კვალი.

მრიგად, ცენტრალური ამიერკავკასიის და აღმოსავლეთ  
კავკასიონის მთის მოსახლეობა ეკუთვნის ერთ დიდ ხმელთა-  
შუაზღვისპირულ ანთროპოლოგიურ ტიპს. ცხადია, ჩვენს  
მიერ კავკასიაში აღწერილი ეს ტიპი ხმელთაშუაზღვისპირუ-  
ლი რასის რეგიონალურ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ რე-  
გიონალური ნაირსახეობის ძიებას სივრცეში იმ დასკვნამდე  
მივყავართ, რომ მისი გავრცელების არეალი უნდა მოიცავ-  
დეს. საქმაოდ დიდ რეგიონს: ცენტრალური აზიისა და ხმელ-  
თაშუაზღვისპირეთის ჩათვლით; მაგრამ მთელ ამ უზარმაზარ  
ტერიტორიაზე.. აღნიშნულის გარდა, ვხვდებით სხვა რსობ-  
რებ ტრაქებსაც, ხოლო კავკასიის, უფრო ზუსტად, ამიერკავკა-  
სიის, ტერიტორიაზე ამ პერიოდისათვის მხოლოდ ერთი ტი-

პია ცნობილი — ეს არის ე. წ. ხმელთაშუაზღვისპირული რა-  
სის ამიერკავკასიური ნაირსახეობა; რაიმე სხვა ტიპის მოსახ-  
ლეობა ამ დროისათვის კავკასიში, ყოველ შემთხვევაში სა-  
დღეისოდ, ცნობილი არ არის.

ეს ფაქტი კი კიდევ ერთხელ უნდა დასტურებდეს ჩვენს  
მიერ ბევრჯერ გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ,  
რომ კავკასიის ტერიტორია უნდა შედიოდეს იმ არეალში,  
რომელზედაც ხდებოდა ინდოხმელთაშუაზღვისპირული ანუ  
სამხრეთევროპეორიდული რასის თავდაპირველი წარმოშობა,  
ჩამოყალიბება და განვითარება. ჩვენს ხელთ ამჟამად არსე-  
ბული, თუნდ მცირერიცხოვანი და ფრაგმენტული მასალები,  
ჩვენი აზრით, იძლევიან ასეთი ზოგადი და ანთროპოლიგიუ-  
რი ისტორიისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე დას-  
კვნის გამოტანის საშუალებას.

ადრე ფეოდალური ხანის პალეოანთროპოლოგიუ-  
რი მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ,  
რომ სამთავროს, არმაზისა და დიღმის სერიები უახლოესი  
მსგავსებით არინ ერთმანეთთან დაკავშირებულნი; ყველა  
მათგანში აშკარად ჭარბობს ვიწროსახიანი, დოლიქოფალუ-  
რი ტიპი, რომელიც ჩვენთვის კარგდ არის ცნობილი წინა-  
მორბედი ხანის ამიერკავკასიის, წინააზის, ჩრდილოეთ ინ-  
დოეთისა და სხვა ტერიტორიებიდან მოპოვებული სერიები-  
თაც. როგორც ჩანს, ამ ფართოდ გავრცელებული ტიპის ერთ-  
ერთი ნაირსახეობა გავრცელებული იყო მცხეთა-დიღმის ზე-  
მოაღნიშნულ ტერიტორიაზედაც. ამავე ტიპისა უნდა ყოფი-  
ლიყო მოსახლეობა სოფ. მაგრანეთამდე. მისგან რამდენად-  
მე განსხვავებული ტიპი შეინიშნება სიონის, ყაზბეგისა და  
ქვემო ბოდბეს ქარანიოლოგიურ სერიებში. ამ თავის ქალებზე  
თავის მაჩვენებელი შედარებით მეტია, ხოლო სახე — შედა-  
რებით ფართო.

ამასთანავე შინაგანი მსგავსება თვით ამ სერიებს შორის  
მეორე წრეს ქმნის აღმოსავლეთ საქართველოს აღრეფეოდა-  
ლური ხანის მოსახლეობაში; მაგრამ ორივე ეს წრე ტიპოლო-  
გიური მსგავსების ერთი წრით არის შეკრული, ვინაიდან გან-  
სხვავება მათ შორის მორფოლოგიური და არა ტიპოლოგიუ-  
რი ხასიათისა. ღოყვალური განსხვავება, რომელიც ამ ორ

წრეს შორის არსებობს, ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ  
მასში საქართველოს თანამედროვე მოსახლეობისათვის დამა-  
ხასიათებელი რამდენიმე თავისებურება შეინიშნება. ეს არ-  
ის უპირველ ყოვლისა ტენდენცია ბრაქიფეფალიზაციისა და  
ეურიპრობოპიზაციების (სახის სიგანის მატებისაკენ). ამჟა-  
მად მნელია, გადაიჭრას საკითხი იმის შესახებ, თუ რისი შე-  
დეგი უნდა იყოს ყველა შემთხვევაში ტრანსფორმაციის აღ-  
ნიშნული მიმართულება: თუ მთის ჯგუფებში (სიონი, ყაზბე-  
გი) ეს შეიძლება აინსის იზოლაციით და მით გამოწვეული  
გენეტიკურ-ეტომოტური პროცესებით, ქვემო ბოდბეს სე-  
რიაზე ჩვენ ვალდებული ვართ ვალიაროთ; რომ ამ შემთხვევა-  
ში უკვე საშე გვაქვს ბრაქიფეფალიზაციისა და ეურიპობოპი-  
ზაციის დაწყებულ პროცესთან, რომელიც ესოდენ დამასაკი-  
ათებელია კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს თა-  
ნამედროვე მოსახლეობისათვის. სხვა ჩვენს მიერ შესწავლი-  
ლი სინქრონული სერიები მსგავსების სხვადასხვა მიმართუ-  
ლებებს ამეღავრებენ; მაგალითად, რესთავის სერია აშკარად  
ადასტურებს ქვემო ბოდბეს სერიაში შენიშნულ პროცესს,  
ხოლო თავის ქალები მატანიდან, ყინვალიდან და სავარაუდო  
კარსინისევიდანაც, ამჟამნებენ ტენდენციას მთის ჯგუფები-  
საკენ, ე. ი. მიმართულებას, რომელიც კავკასიონის ტიპის ჩა-  
მოყალიბებით უნდა დასრულებულიყო.

მასალების უკიდურესი სიმცირე გვაიძულებს დიდი სიფრ-  
თეილით მოვეკიდოთ ზემოაღნიშნულ მორფოლოგიურ ფაქ-  
ტებს. უდავო, ჩვენი, აზრით, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ფა-  
ქტია, რომ საქართველოს აღრეფეოდალური ხანის მოსახლე-  
ობაში უკვე დაწყებული ანთროპოლოგიური ტიპების ეკო-  
ქოლური ტრანსფორმაციის პროცესი და ძეგლ „არქაულ“  
ფორმებთან ერთად. უკვე, გარევევით შეინიშნება თანამედრ-  
ოვე მოსახლეობისათვის დამასახიათებელი ფორმები.

ამიერკავკასიის ტერიტორიის, ჩვენს მასალებში წარმოდგე-  
ნილია ძირითადად ორი რეგიონით: ეს არის სომხეთი, უფრო  
სწორად სომხეთის ქველი დედაქალაქის გარნის რეგიონი და  
დასავლეთ აზერბაიჯანი, კერძოდ მინგეჩაურის მიდამოები.  
როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე სომხეთის ტერი-  
ტორიაზედაც, ამ დროისათვის უკვე დაწყებულია ბრაქიფეფა-

ლიზაციის პროცესი და დოლიქოკრანულ ფორმებთან ერთად თბილარებობენ ბრაქიკრანული ფორმებიც. როგორც ჩვენ ხელთ ასებული მასალებიდან ჩანს, აღრეფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში შეინიშნება ურთიერთმმაგავსი ანთროპოლოგიური ტიპები და ამ ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის ანალოგიური პროცესები. ჩვენს მიერ ზემოაღწერილ ტიპს, რომელიც აზერბაიჯანის (მინგეჩაურის) ტერიტორიაზეც არის დადასტურებული და რომელიც აღრეფეოდალური ხანით თარიღდება, წინააზიური ტიპის დამახასიათებელი მთელი კომპლექსი ახასიათებს და, ამდენად, ის მკვეთრად განსხვავდება კასპიური (ე. ი. აღმოსავლეთ აზერბაიჯანის) ტიპის ფორმებისაგან; როგორც ჩანს, დასავლეთ აზერბაიჯანის აღნიშნულ ტერიტორიაზე; ისევე როგორც სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე რეგიონებში, ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ტიპი იყო; გავრცელებული და ტრანსფორმაციის პროცესებსაც ერთი და იგივე მიმართულება ჰქონდა; ანალოგიურ დასკნამდე მიგვიყვანა ჩვენ წინამორბედი ხანის ამავე ტერიტორიის მოსახლეობის შესწავლამ, ეს კი ჩვენს მიერ წარმოდგენილი განზოგადების დამაღალსტურებელ საკმაოდ ძირმაგარ არგვენტს წარმოადგენს.

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია ჩვენს მასალებში წარმოდგენილია მანძილითა და დროით ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სხვადასხვა სერიების სახით; მხედველობაში გვაქვს ორი სერია ჩერქეზეთიდან. აქედან ერთი III—IV საუკუნეებს ეკუთვნის, მეორე — VIII—XIII საუკუნეებს; უფრო ჩრდილოეთიდანაც არის რამდენიმე თავის ქალა, რომლებსაც პირობით კანასნოდარის მხარის თავის ქალები ცუწოდეთ; აღმოსავლეთით გროჩნოს ოლქისა და დაღესტნის თავის ქალებია. თვით დაღესტანი სამი რეგიონით არის წარმოდგენილი: გამოს ხეობა, უზუნთალა და საკუთრივ დაღესტანი. სამივე კანასილოგიური სერია დაღესტნის ტერიტორიიდან ერთმანეთთან ტოპოლოგიურად ძალიან აქლოს დგას. უფრო შეტიც; ყველა ჩვენს მიერ განხილული კანიოლოგიური სერია ჩრდილოეთ კავკასიიდან აშკარად ამჟღვენებს ტოპოლოგიურ მსგავსებას ერთმანეთს შორის და ამავე დროს — ამი-

ერკავკასიურ სერიებთანაც. აქ საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ერთ, ჩვენი ახრით, ანთროპოლოგიური ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონე მოვლენაზე: წინამორბედი ხანის სერიების მიმოხილვისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი, ერთი — ლეპტოპაროზობული და დოლიქოკრანული — ამიერკავკასიური ანთროპოლოგიური ტიპების მსგავსი (ან იდენტურიც კი), ხოლო მეორე — ფართოსახიანი, ბრაქიკრანული, რომლის მსგავსი ფორმები უფრო ჩრდილოეთით იყო შენიშნული. ამჟამად აღრეფეოდალური ხანის მასალების მიმოხილვისას ჩვენ ასაძ შევცხვდრია ფართოსახიანი ბრაქიკავკასიურის სერია.

აქ, როგორც ვნახეთ, სრულიად შარბობენ მეზოპროზობული და მეზოკრანული კრანიოლოგიური ტიპები, რომლებიც, როგორც ჩვენ უკვე არა ერთხელ შევნიშნეთ, ამიერკავკასიური ანთროპოლოგიური ტიპების ანალოგიური არიან.

საბოლოოდ, საქართველოს აღრეფეოდალური ხანის ანთროპოლოგიური ტიპი, როგორც ვნახეთ, ძირითადად იმეორებს იმავე ტიპს, რომელიც მის წინამორბედ ხანშია დასტურებული; ცალკეულ სერიებს შორის ასებული განსხვავებანი სრულიად კანონზომიერად თავსდებიან კავკასიის ტერიტორიის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ეპოქალური ტრანსფორმაციის ფარგლებში, რაც საფუძველს გვაძლევს ვიზიტორთ, რომ აღრეფეოდალურ ხანში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის შედეგენილობაში სერიოზული რამ ცვლილებები არ მომხდარა. კავკასიის აღრეულ და თანადროულ ტიპებთან მსგავსება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კავკასიის აბორიგენული მოსახლეობა თვით ეკუთვნოდა ერთ დიდ ანთროპოლოგიურ პლატტებს, ხოლო სერიებს შორის არსებული განსხვავებანი ლოკალური დიფერენციაციის მაჩვენებელი უნდა იყოს.

რამდენადმე განსხვავებული ფორმაა წარმოდგენილი ამავე პერიოდის თავის ქალებზე რუსთავიდან. რომელთა ჰიპერბრაქიკრანული მაჩვენებელი, ზომიერად დახრილი შუბლი და

მეცნიერად გამოხატული ცხვირის ძვლები, ბევრად უფრო მოგვაგონებენ კავკასიის მომდევნო ხანის ქარანილოგიურ ტიპს.

გნესაკუთრებული ყურადღების ღირსია ამავე პერიოდის  
დასასრულის ქანიოლოგიური სერია დასაცლეთ საქართვე-  
ლოდან (საგვარჯილე-ზესტაფონის რაიონი). მე სერიის 14 მა-  
მამაკაცისა და 9 დედაქაცის თავის ჭალა ზოგადად ხასიათდე-  
ბა მეზო- და ბრაქიკრანით, საშუალო-სიგანისა და საშუალო-  
ზე დაბალი სახით, დაბალი და ვიწრო ცხვირით, ზომიერად  
დახრილი შებლითა და მკეთრად გამოხატული ცხვირის  
ძვლებით. აღწერილი ქანიოლოგიური ტიპი ფართოდ გავრ-  
ცელებული ჩანს საქართველოს შემდგომი ხანის მოსახლეო-  
ბაში; ზოგად ფორმებში ეს ის ტიპია, რომელსაც ჩვენ წინა-  
აზიურ ტიპს გუწიდებთ და რომელიც აბსოლუტურად ღომი-  
ნირებს საქართველოს მოსახლეობაში დღეს; განსაკუთრებუ-  
ლი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ანთროპო-  
ლოგიური ტიპის შენიშნულ ცვლის კანონზომიერი, თან და-  
თან ბითი ტრანსფორმაციის ხასიათი აქვს, რაც უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოსა და კავ-  
კასიის მოსახლეობაში ფართოსახიანი ბრაქიკეფალების ჩამო-  
ყალიბება მოხდა არა რამდენ გარეშე ფაქტორების ზეგავლე-  
ნით, არამედ ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპების ბუ-  
ნებრივ-ისტორიული, შინაგანი განვითარებისა და ნორმალუ-  
რი ეპოქასთან ტრანსფორმაციის გზით.

ანალოგიური ტიპის თავისებულ ნიშნებს ატარებს ამ პერიოდის სერია საქართველოს მთის წინა ზოლიდან, თიანეთის რაიონის ს. სიონიდან. მიუხედავად იმისა, რომ სიონის უძველესი სერია მეტისმეტად რიცხვშეტკირება, იგი მაინც იძლევა საშუალებას, რომ პირველად კავკასიის ქრონოლოგიურ სერიებში, გამოვყოთ კრანიოლოგიური ნიშნების სი თავისებული კომპლექსი, რომელიც კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში კავკასიონის ტიპის სახელით არის ცნობილი. როგორც ჩანს, ამ დროისათვის უკვე იჩენს თავს მთისა და ბარის მოსახლეობის ანთროპოლოგიური დიფერენციაცია, რაც ასე მკვეთრად აჩის გამოხატული კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში.

შუაფეოდალურ ხანას ეკუთხნის ვანის ქვაბეგში: მო-  
პოვებული თავის ქალების კრანიოლოგიური სერია, რომელიც

მე-13 საუკუნის დასაწყისით თარიღდება. იგი შედგება 10 მამაკაცისა და 10 დედაკაცის თავის ქალასაგან. მათს განსაკუთრებით დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს: სახის საშუალო ან საშუალოზე მეტი სიგანე და თავის ქალას მკეთრი ბრაქიეფალია. ამ სერიაში უკვე გარეკვეთ არის წარმოდგენილი ის ტიპი, რომელსაც ჩვენ წინააზიური ტიპის სახელით ვიცნობთ და რომელმაც გარდამავალი ფორმის სახით უკვე იჩინა თავი პირველი ათასწლეულის მიწურულს რუსთავისა და საგვარჩისლეს კრანიოლოგიურ სერიებში.

გვიან ფეოდალური ხანის ან მეორე ათასწლეულის  
მეორე ნახევრის კრანიოლოგიური სერიები. (მხედველობაში  
გვაქვს რუსთავის, დუშეთის, ხევსურეთის, სიონის, აჭარის,  
ზუგდიდისა და ზოგიერთი კავკასიული ხალხებისა: აფხაზეთის,  
ოსებისა და სომხების კრანიოლოგიური სერიები) ძირითადად  
უნდა განვიხილოთ როგორც მასალები საქართველოს თანა-  
მედროვე მოსახლეობის კრანიოლოგიისთვის და ისინი,  
ცხადია, შეიძლება დაგვეხმარონ საქართველოს თანამედროვე  
მოსახლეობის ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლა-  
ში. ამ გაგებით: რუსთავის კრანიოლოგიური სერია, რომელიც  
დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს ანთროპოლო-  
გიურ ტიპებთან, საშუალებას გვაძლევს, ძირითადად იბერიუ-  
ლი ტიპის წინააზიურ სუბსტრატში შევნიშნოთ კავკასიონის  
ტიპის ელემენტები; ხევსურეთის, ლუშეთის და სიონის სერი-  
ები, რომელიც აშკარად კავკასიონის ტიპს ეკუთვნიან, სამ-  
თავრისა და მინგეჩაურის სერიებთან მსგავსებით, გვიჩვენებენ,  
სად უნდა ვეძიოთ თანამედროვე მოსახლეობაში ყველაზე ნა-  
კლებშეცვლილი სახით აშერებავისის უძველესი პალეოანთ-  
როპოლოგიური ფორმები; აჭარისა და აფხაზეთის კრანიოლო-  
გიური სერიები, რომლებიც სრულიად აშერება კოლხური  
ტიპის შავიზღვისპირულ გარიანტს ეკუთვნიან, საერთო წინა-  
აზიურ სუბსტრატში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში გავრცე-  
ლებული ანთროპოლოგიური ტიპების კვალს იმულივნებენ.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ზოგადად დივასკვნათ, რომ უძველესი პალეოანტოპოლიგიური ტიპები, შინაგანი განვითარებისა და ეპოქალური ტრანსფორმაციის

გზით, საფუძვლად დაედო იმ ანთროპოლოგიური ტიპების ჩა-  
მოყალიბებას, რომლებიც დღეს საქართველოს თანამედროვე  
მოსახლეობაშია. წარმოდგენილი კავკასიისა და წინა აზიის  
მოსახლეობისათვის ეს ცვლა, როგორც ჩანს, ძირითადად, თა-  
ვის მაჩვენებლისა და სახის სიგანის მატებაში გამოიხატა, რა-  
საც უძველესი ლეპტროპროზოპული მედიტერანების თანამე-  
დროვე ფართოსახიან გრაქიეფალებად გარდაქმნა, მოჰკვა.  
ექედან თვისთავად გამომდინარეობს ზოგადი დასკვნა, იმს  
შესახებ, რომ საქართველოს თანამედროვე ლოკალური ტი-  
პები ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი, უძველესი ანთროპოლო-  
გიური ტიპების შინაგანი განვითარების გზით, რამე სხვა  
ელემენტების საგრძნობი ზეგავლენის გარეშე; რომ დღევან-  
დელი ქართველები შთამომავლები არიან დასავლეთ ამიერ-  
კავკასიის უძველესი დროის მოსახლეობისა, რომელმაც შექმნა  
სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის უმდიდრესი ჭულტურა, რომ  
არა ვთქვეთ რა მემკვიდრეობით მონათესავეობაზე უფრო  
გვიანი ხანის მოსახლეობასთან (ანტიკური და ფეოდალური).  
ეს უწყვეტი გენეტიკური მონათესავეობა სრულიად მცირდად  
ჩანს ჩვენს მიერ მიმოხილულ პალეოანთროპოლოგიურ მასა-  
ლებზე.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ თუ რით დასრულდა სა-  
ქართველოს ქველი მოსახლეობის ეპოქალური ტრანსფორმა-  
ცია, საჭიროა თვალი გადავავლოთ საქართველოსა და ქავკა-  
სიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური  
შედეგენილობის სურათს: საქართველოს თანამედროვე მოსახ-  
ლეობაში ქართველი ანთროპოლოგების მიერ გამოყოფილია  
5 ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ადგილობ-  
რივი გარიანტი: შავისზღვისპირული, რომელიც გავრცელებუ-  
ლია შავიზღვისპირელი ქარლების, გურულების, მეგრელე-  
ბისა და აფხაზების ჯგუფებში; დასავლურ-ქართული, რომე-  
ლიც გვხდება: იმერლების, მეგრელების, გურულების, აჭარ-  
ლების, ლეჩხუმლებისა და ბარის რჭველების არაშავიზღვის-  
პირულ ჯგუფებში; აღმოსავლურ-ქართული, რომელიც მოი-  
ცას ძირითადად ქართველებისა და კახელების ჯგუფებს; სამხ-  
რეთ-ქართული, რომელიც გვხდება მესხების, ჯავახების და ზო-  
გიერთ სამხრეთ ქართლურ ჯგუფებს შორის, და ბოლოს, კავ-

კასიონის ვარიანტი, რომელიც გავრცელებულია კავკასიონის  
მთის ქართულ და არაქართულ ჯგუფებს შორის. ხუთივე ეს  
ანთროპოლოგიური ვარიანტი ეკუთვნის წინა აურ ან-  
თროპოლოგიურ ტიპს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ წარმო-  
ადგენს მის კლასიურ ფორმას (ასეთი ფორმები გვხვდება  
ასურელების, სომხების ზოგიერთ სამხრეთ ჯვუფებში და  
სხვ.).

ამ კლასიურ წინააზიურ ფორმებთან ყველაზე ახლოს სამ-  
ხრეთ-ქართული ვარიანტი დგას. სამხრეთ-ქართულისაგან აღ-  
მოსავლეთ-ქართული ვარიანტი კავკასიონის ტიპისათვის და-  
მახასიათებელი ზოგიერთი ნიშნოთ განსხვავდება, ხოლო და-  
სავლეთ-ქართული და განსაკუთრებით შავიზღვისპირული ვა-  
რიანტები წინააზიური ფორმებისაგან ნიშნების იმ კომპლექ-  
სით განსხვავდებიან, რომელიც შთ პონტურ ტიპთან აახლო-  
ებს (პონტური ტიპის შესახებ ქვემოთ). ამრიგად, საქართვე-  
ლოს თანამედროვე მოსახლეობაში გავრცელებული ყველა  
ანთროპოლოგიური ვარიანტი წინა აურ რასობრივ  
ტიპს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, ახასიათებს თუ არა  
ცალკეულ მათგანს მეტ-ნაკლები განსხვავება მისგან. თუ რა  
ადგილს იკავებს წინააზიური რასობრივი ტიპი კავკასიის თა-  
ნამედროვე მოსახლეობაში, ამის წარმოდგენას გაგვიადვილებს  
კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგი-  
ური შედგენილობის სურათი.

კავკასიის მთელი აბორიგენული მოსახლეობა განეკუთვ-  
ნება დიდი ეკროპეონიდული რასის სამხრეთ შტოს, ანუ ინდო-  
ხმელთაშუაზღვისპირულ რასას. ამ რასის გავრცელების არეა-  
ლი მოიცავს უზარმაზარ ტერიტორიას 44-ე და მე-20 პარა-  
ლელებს შორის, ატლანტის ოკეანიდან — ინდოეთამდევი: იგი  
სამ დიდ რასობრივ შტოდ იყოფა: ინდო-პამირულ, ხმელთა-  
შუა-ბალკანურ და წინააზიურ რასებად. ქართველი ანთროპო-  
ლოგები უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევენ  
იმ ფაქტს, რომ ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის ამ სა-  
მივე დიდი განშტოების წარმომადგენლები გვხვდებიან კავკა-  
სიის თანამედროვე მოსახლეობაში, ცხადია, ადგილობრივი  
ნაირსახეობების სახით: კასპიური ტიპი, რომელიც აღმოსავ-  
ლეთ აზერბაიჯანელებსა და აღმოსავლეთ დაღესტანელებში

გვუფება, აშეარად შედის ინდო-პამირული ტიპის ჯვუფებში; პონტური ტიპი, რომელიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიის მოსახლეობისათვის არის დამახასიათებელი (აღი-ღელები), ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზინელები), ეკუთვნის ხმელთაშუა-ბალკანური ტიპის ჯვუფებს, ხოლო კავკასიონის მთიანეთში, საქართველოს, სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე, ყველაზე მეტად გავრცელებული არიან წინააზიური ტიპის ჯვუფები.

ამრიგად, სამხრეთ ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ტერიტორიებზე გავრცელებული ხმელთაშუა-ბალკანური ტიპის ჯვუფები, პონტური რასის ძირითადი ტიპის მეშვეობით. „შემოღიან“ ჩრდილო-დასავლეთ ჯვეჭიის ტერიტორიაზე; შუა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ტერიტორიებზე გავრცელებული ინდო-პამირული ტიპის ჯვუფები კასპიური ჩასის დასავლურ-ქაშიური ტიპის მეშვეობით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან „შემოღიან“ კავკასიის ტერიტორიაზე; ხოლო წინააზიური ტიპის ჯვუფები, რომლებიც გავრცელებული არიან წინააზიასა და ამიერკავკასიაში, ზემოხსენებულ ორ ტიპს შორისაა მოქცეული. სამივე ამ განზომების კავკასიური ნაირსახობები ერთმანეთთან დაკავშირებულია მორფოლოგიური მსგავსების გარკვეული კომპლექსით და ამიტომ თამაშად შეიძლება მსჩელობა მათს კავკასიურ ერთობაზე. ამ „კავკასიური ერთობის“ ფესვები ადგილობრივი მიდის, საუკუნების სილმეში, ვინაადნ, რაც უფრო ძველია ამ ტერიტორიებზე აღმოჩენილი პალეონტოლოგიური მასალა, მთი უფრო მეტია მათ შორის მორფოლოგიური მსგავსება, რაშიაც ჩვენ პალეოათროპოლოგიური მასალების მიმოხილვისას დაგრწმუნდით.

სადღეისოდ, ეჭვს არ იშვევს ის გარემოება, რომ კავკასია ერთადერთი ტერიტორიაა მთელ მსოფლიოში, სადაც თავმოყრილი არაან ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული ანუ სამხრეთ ევროპეონიდული რასის სამივე ძირითადი განშტოების წარმომადგენლები. ამ ანთროპოლოგიური ფაქტის საბოლოო რასოფერნებური გაზრება მომავლის საქმეა და ის თავისთვად აღმატება. კიდეც მხოლოდ ანთროპოლოგიური მეცნიერების შესაძლებლობებს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი კია შემთხვევი-

თობას მიეწეროს სამხრეთ-ევროპეონიდული რასის ს ამივე ძირითადი განშტოების კავკასიის ტერიტორიაზე თავმოყრის ფაქტი. ყოველ შემთხვევაში ანთროპოლოგების, ძირითადად ქართველი ანთროპოლოგების, გამოკვლევებმა მეტ-ნაკლებად მოჰყვინეს შუქი ამ ტიპების კავკასიური აუტოქტონურობის საკითხს. ინდო-პამირული რასის კავკასიური აუტოქტონურობის გასაშუქებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვნი გამოდგა ქართველი ანთროპოლოგების მიერ ჩრდილოეთ ინდოეთში წარმოებული კვლევა, რომელმაც გამოავლინა მზარდი განსხვავების მიმართულება კავკასიიდან ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთამდე, შუა აზიასა და ავღანისტანის ტერიტორიებზე გადავლით.

\* \* \*

**პოველივა** ზემოთქმული მხოლოდ დასაწყისია ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორიის კვლევისა. როგორც, ალბათ, მეოთხველიც დარწმუნდა, ჩვენ დღესდღეობით მხოლოდ ზოგადი კონტური შეგვიძლია მოვხაზოთ, ხოლო სრულყოფილი სურათის შექმნას კიდევ ბევრი მასალა, შრომა და კვლევა-ძიება ესაჭიროება. ჩვენი არაცოდნის ბურუსში ნელ-ნელა ინთებიან ახალი მასალებითა და კვლევა-ძიებით გაშუქებული ადგილები. სრული საფუძველი გვაქვს ვიზურობოთ, რომ მომავალში კიდევ ბევრ საკითხს მოეფინება ნათელი და შესაძლებელი გახდება უფრო სრულყოფილი „ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორიის“ შექმნა.